განმარტებითი ბარათი
„ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე კანონპროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიზეზია საქართველოს კონსტიტუციის მთელი რიგი ნორმების ამოქმედება, რომლებიც უკავშირდება 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტს.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

წარმოდგენილი კანონპროექტის მიზანია კანონის დებულებების შესაბამისობაში მოყვანა 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან ასამოქმედებელი საქართველოს კონსტიტუციის მთელ რიგ ნორმებთან.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტი ითვალისწინებს შემდეგ ცვლილებებს:

გაუქმდა საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილება საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის სფეროში საკანონმდებლო ინიციატივების განხორციელების სფეროში, ასევე შესაბამის სფეროში სამართლებრივი აქტების გამოცემის უფლებამოსილება.

საქართველოს პრეზიდენტის ნაცვლად ეროვნული რეაგირების გეგმას და სამოქალაქო თავდაცვის გეგმებს დაამტკიცებს საქართველოს მთავრობა, რომელიც ვალდებულია ზემოაღნიშნული აქტები გამოსცეს 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებამდე

კანონის ამოქმედების ვადად განისაზღვრა 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტი, გარდა იმ დებულებისა, რომელიც განსაზღვრავს მთავრობის ვალდებულებას სამართლებრივი აქტის გამოცემის შესახებ, რომელიც ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვილებას.

ზ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისიწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ზ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება ფინანსური შედეგების წარმოშობას იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ზ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის და მოსაკრებლის დაწესებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგებეა ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინაარმდეგება საერთასორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავსირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქარტველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალხმრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/ დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

არ არის.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

არ არის.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრი თამაზ ავდალიანი

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრი თამაზ ავდალიანი